



საქართველო
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის
საკრებულო



25/08/2017

24-07-4-201708251340



N 24

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
დადგენილება №24
2017 წლის 25 აგვისტო
ქ. ლანჩხუთი

„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 ივნისის N19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლის შესაბამისად, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 ივნისის N19 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge 28/06/2017 სარეგისტრაციო კოდი 190040000.35.112.016301) შევიდეს ცვლილება და დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებულ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობები“ დანართის „პირველადი სტრუქტურული ერთეული (ადმინისტრაციული სამსახური)“-ს „მეორადი სტრუქტურული ერთეული (მოქალაქეთა მიღებისა და საქმისწარმოების განყოფილება)“ ცხრილიდან ამოღებულ იქნას „მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (წამყვანი სპეციალისტი)“-ს 1 (ერთი) საშტატო ერთეული და „პირველადი სტრუქტურული ერთეული (ადმინისტრაციული სამსახური)“-ს საშტატო რიცხოვნობა განისაზღვროს 12 (თორმეტი) საშტატო ერთეულით და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

პირველადი სტრუქტურული ერთეული (ადმინისტრაციული სამსახური)	12	
პირველი რანგი. პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (სამსახურის უფროსი)	1	1350
მესამე რანგი. პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (მთავარი სპეციალისტი)	1	750
მესამე რანგი. პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (მთავარი სპეციალისტი მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების დარგში)	1	750
მესამე რანგი. მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (წამყვანი სპეციალისტი)	1	650
მეორადი სტრუქტურული ერთეული (საზოგადოებასთან და პრესასთან ურთიერთობის განყოფილება)	3	
მეორე რანგი. მეორადი სტრუქტურული ერთეულის უფროსი (განყოფილების უფროსი)	1	1000
მესამე რანგი. პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (მთავარი სპეციალისტი)	1	750
მესამე რანგი. მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (წამყვანი სპეციალისტი)	1	650
მეორადი სტრუქტურული ერთეული (ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება)	3	
მეორე რანგი. მეორადი სტრუქტურული ერთეულის უფროსი (განყოფილების უფროსი)	1	1000
მესამე რანგი. პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (მთავარი სპეციალისტი)	2	750
მეორადი სტრუქტურული ერთეული (მოქალაქეთა მიღებისა და საქმისწარმოების განყოფილება)	2	
მეორე რანგი. მეორადი სტრუქტურული ერთეულის უფროსი (განყოფილების უფროსი)	1	1000
მესამე რანგი.	1	750

პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (მთავარი სპეციალისტი)		
--	--	--

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ბესიკ ტაბიძე

საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი
საკრებულოს ბიურო

